№ 238

ხუთშაბათი, 1 ნოემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12. . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11. . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10. . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9. . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8. . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7. . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

# ივერია

№ 238

ხუთშაბათი, 1 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 1 ნოემბერს, 1901 წ.

ბენეფისი გ. ქ. შათირიშვილისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ქ-ნთ ვ. ალექსი-მესხიშვილისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესები:

I

### ავადმყოფი ხალხი

დრამ. 2 მოქმედებად, თხზ. გაუპტმანისა, თარგ. ვ. გუნიასი.

II

### ოქროს ევა

კომ. 3 მოქმედებად, თხზ. შანტენისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი და სხვ. ბ-ნნი: ვლ. მესხიშვილი, ყიფიანი, გუნია, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა იქნება კვირას, 4 ნოემბერს.

(3—ნ.—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

ვაკეა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ც. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. ვოინო—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^{1}/_{2}$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მკურნალი

## მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

## ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მადნეულობის გამოკვლევა: ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე 4—6 საათ. ადრესი: Георгіевская площадь, № 32.

(8—1)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, ნოემბრის 4 დღესა, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია

### საზოგადო კრება

განსაგრძობად 28 ოქტომბრის საზოგადო კრებისა.

განხილულ უნდა იქმნას:

1) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1901 წლისათვის.

2) არჩევანი გამგეობის წევრთა და თავმჯდომარისა.

3) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა და

4) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

(3—უ.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^{1}/_{2}$ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

# ფელეტონი

—

## ოც-და-ხუთ მანეთიანი ღია წერილი.

ესკიზი.

—

— იცით, ყმაწვილებო, რა გითხრათ?—ეკითხებოდა სკამ-ლოგინზე მხარ-თეძოთი წამოწოლილი მასპინძელი, ახლგაზრდა ექსელბანტიანი აფიცერი ალექო თავის წვეულ ამხანაგებს, რომელნიც აქა-იქ სკამებზე ისხდნენ და დივანზე წამოწოლილიყვნენ მდიდრულად მორთულს დარბაზში.

— ორი წვეული გვაკლია მაინც, მათ მოსვლამდე რომ სადილი ვჭამოთ, უზრდელობა იქნება და ამ ამბით გაგართობთ, თუ მოსმენის სურვილი ბუნებაზე ხართ და სილიბისტროს სიამბოს არ დაახარჯეთ რაც თქვენს ნერვებს სიცილის ძალი ჰქონდა.

— სთქვი... ჰო... აბა, მოჰყევი... მიაძახეს იქით-აქედან ამხანაგებმა, რომელთაგანს ბევრს წინდაწინვე მოსდიოდა ღიმილი.

— ჰო... ახლა, გავიხედე და შემოდის ჩემი გამდელი და მეუბნება: ბატონო, დღეს ნასტიას მაგიერ ახალგაზდა რუსისვე გოგო დაგიყენეთ, ნეფის სასახლეს რომ ეკადრება, ისეთიო... ჰმ... მიამა... ხომ იცით ჩემი ამბავი: ახალ გაზაფხულს საჯანმრთელოთ, ახალ ხილს გემოსათვის, ახალ პარტიას ბანქოში გასართობათ და ახალ გოგოს მოსამსახურეთ არაფერი მირჩევნია ქვეყანაზე...

მოვღუშე სახე, შევკარი წარბები, რომ გამდელს ეჭვი არაფრისა აელო და ვუბრძანე:

— შემოვიდეს, ვნახო!

არ გასულა ორი წამი, გაიღო კარი. შემოვიდა, მარა რა შემოვიდა!.. ერთი სიტყვით, რუსის პირობაზე რაც კი შეიძლება, კალმით ნახატი სილამაზის იყო! ბრგე წარმოსადეგი, მკერდ მაღალი, მხარ განიერი, რძე და ღვინის ფერი ჩაფუთქუშებული ლოყები, ჟუჟუნა თვალები... ცხვირი კი ჰქონდა, უნდა გამოგიტყდეთ, ცოტათი აპრეკილი, მარა მე რა მენაღვლებოდა!.. ამიარ-დამიარა ცეცხლმა ძარღვებში.., გამდელი რაღაცაზე დავსაქმე და გავისტუმრე ოთახიდან.

— რა გქვია სახელი? დავეკითხე ჩემს ახალს სამოახლოს.

— ტანია, ბატონო! მიპასუხა. ჰმ, ვიფიქრე: დასტურ, რომ კაი ტანია... ღმერთმა შეარცხვინოს მაგაზე უკეთესი ვისაც ჰქონდეს ტანია... მართლაც, რომ იქნება კარგი... და აქ ისეთი რითმა შეწყობილი მოსწრებული სიტყვა მომივიდა თავში, რომ გითხრათ, სწორეთ მოგეწონებათ, ნამეტურ ახლანდელ ძალად-პოეტების რითმაზე, მაგრამ ეს სამერისოთ იყოს...

— რამდენი წლისა ხარ? ვკითხე.

— თვრამეტის, ბატონო!

— რის მაქნისი ხარ-მეთქი?

— ყველაფრის, ბატონო!

— ჰო, ჩემო ტანია, ეს მომეწონა შენგან-მეთქი!

— სიამოვნებით ვეცდები ყველაფერი ვქნა, ბატონო!

— ჰო, ჩემო ტანია, შენ იცი აბა, თუ მასიამოვნებ, მეც გასიამოვნებ-მეთქი!

— გულმოდგინეთ ვეცდები თქვენს სიამოვნებას რითაც შეიძლებაო...

ამ სიტყვებთან ისე აათამაშა თვალ-წარბი, რომ, როგორც ელვას, ისე ძლივს მოვასწარი შეხედვა, მაგრამ მაინც საკმაოთ ვიგრძენი ის, რასაც ყველა იგრძნობდა ჩემს ალაგზე...

ძლივს დაღამდა, შევედი კაბინეთში, ჩავიცვი ხალათი. ვიფიქრე: რუსს მამაცური საქციელი უყვარს და გაბედულათ მოპყრობა, რაღას ვაგვიანებ, ბარემ შემოვიხმობ და ეხლავ განვუმარტავ ჩემ საშინაო ცხოვრების პროგრამას-მეთქი...

დავრეკე ზარა. გავილურსე. მოისმა ფეხის პაკა-პუკი... ველი ტანიას შემოსვლას. გულმა უჩქარა ცემას. როგორც იქნა გაიღო კარი... აი, დასწყევლოს ღმერთმა: ჩემი გამდელი.

— დაუძახე ტანიას-მეთქი, შეუბღვირე საწყალობელს.

— ტანია, ბატონო, ტანს იბანს, აუზში გახლავსთ ახლა...

გამდელი გავისტუმრე. მიამა, რომ ისე ჰყვარებია სიწმინდე... დავრჩი მარტოკა ოთახში. დავიწყე წინ და უკან სიარული. ვიარე, ვიარე, ვწიე პაპიროსი პაპიროსზე, მომწყინდა. ავდექი და მივედი აუზის ოთახის კარებთან... მინდოდა გამეგო, როდის გაათავებდა ტანის დაბანას... დავაკაკუნე კარზე თითით. ისიც იქიდან მოდგა კარს და „ვინ ხარ მანდო? იკითხა.

— მე ვარ-მეთქი.

— ამ წამს, ჩემო ბატონო, ამ წამს გავათავებ... ახალი მოდის საპნის ხმარება მომიხდა, მე სულელს, და ბევრი ვარდის წყლის გადასხმა და დაზელა დამჭირდა, იმიტომ დამაგვიანდა. ახლავე, თქვენი ჭირიმე, ახლა ვიცვამ, ნუ გამიწყრებით, ბატონო!

ისეთი გულ-უბრყვილო კილოთი ამბობდა ამას, რომ.. ხომ იცით ჩემი ამბავი რა გამოკაპოეტებული ვარ ამისთანეებში, მაგრამ მაინც დამიბნია კვალი...

დავბრუნდი ჩემს მარტო ხელს ოთახში. ვწევ პაპიროსს, სიგარას, ჩიბუხს, არ ამითავდა არაფერი... გავათავე რაც თუთუნი მქონდა... მაგრამ მაინც არსად ჩანს ჩემი ტანია... მოვკიდე წანაკითხს გაზეთს ხელი, გადვიკითხე აქა-იქ ხელ-მეორეთ... ბოლოს მომბეზრდა და გადავაგდე... წამოვწიე თავი, დავუგდე ყური,.. ფაჩუნიც არსაიდან ისმის... წაველი, მივადეგ ისევ იმ ნაცნობს კარს... დავარაკუნე.

— ამ წამს, ბატონო, ამ წამს.., ეხლავე გიახლებით, ბატონო! მომესმა იგივე ეშმაკური ხმა...

დავბრუნდი. მივუჯდი ჩემსავით არეულს საწერს მაგიდას... უცებ თვალი მოვკარ ნაცნობი ხელით ნაწერს ბარათს. გავხსენი, ვკითხულობ: „ძმაო ალექო! დღეს საღამოს 9 საათზე შენი სტუმარნი ვართ;

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოხი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

# ახალი ამბავი

—

*** დღეს, პირველ ნოემბერს, ქართულს თეატრში ბენეფისია დანიშნული ნიჭიერის მსახიობის ბ-ნ კ. შათირიშვილისა. ამ პირველ საბენეფისო წარმოდგენისათვის თეატრის გამგეთ მოუწვევიათ ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი და კ. ყიფიანი. წარმოადგენენ ორს ახალს, ჯერეთ ქართულს თეატრში არ ნათამაშევს, პიესას: გერმანელთა ცნობილ დრამატურგის ჰაუპტმანის ორ-მოქმედებიან დრამას „ავადმყოფს ხალხსა“ და შანტენის სამ-მოქმედებიან კომედიას „ოქროს ევას“. პირველი პიესა ვ. გუნიას ნათარგმნია, ხოლო მეორე—ა. ცაგარლისა. უმთავრესს როლებს შეასრულებენ: მესხიშვილი, ყიფიანი, გაბუნია-ცაგარლისა და თვით მობენეფისე.

*** გზათა მინისტრის განკარგულებით, რუსეთის ბუნების-მეტყველთა და მკურნალთა მე-XI კრებაზედ დასასწრებლად, რომელიც პეტერბურგშია დანიშნული ამ წელს, კრებაზედ მონაწილეობის მიმღებთაგან ყველას, ვინც-კი გზათა სამინისტროს სამსახურში ითვლება, უფლება ეძლევა 20-დგან 30 დეკემბრამდე ყველა სახაზინო და კერძო რკინის გზებით უფასოდ მოგზაურობისა პეტერბურგამდე და იქიდგან უკან შინამდე.

*** გუშინ-წინ საღამოზედ უკვე დასრულდა კავკასიის მიწად-მოქმედთა წარმომადგენელთა კრება. ამ საღამოს განხილულ იქმნა ოთხი მოხსენება. სხვათა შორის კრებამ განიხილა ბ-ნის საიკოვის მოხსენება ჩვენში ერობის შემოღების შესახებ; კრებამ, თავმჯდომარის წინადადებით გარდასწყვიტა სთხოვოს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას შეიმუშავოს აზრი იმის შესახებ, თუ რომელი დაწესებულებაა დღეს ჩვენში უფრო საჭირო, რომ ჩვენებური მეურნეობა გააუმჯობესოს.

*** ოქტომბრის ოც-და-ცხრას ბაქოში ხმოსანთა ასარჩევ კრებაზე აურჩევიათ: თათრები 23, სომხები 6 და რუსნი 3, სულ 32. კიდევ უნდა აირჩიონ 10 ხმოსანი. ეს მეორე კრება უნდა მოხდეს ათის დღის შემდეგ.

თუ იმ ათს ასარჩევში ყველანი სომხები არ იქნენ არჩეულნი, მომავალ ოთხი წლის განმავლობაში სომეხთ ხმოსნების რიცხვი ერთიორად უფრო ნაკლები იქმნება ბაქოს საბჭოში, ვიდრე დღემდის იყო.

*** შაბათს, 3 ნოემბერს, ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში გრაფინია უვაროვის თავმჯდომარეობით საარქეოლოგო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას სხდომა ექნება.

*** გზათა მინისტრის განკარგულებით, მიხაილოვიდგან ალტაგლობაქომდე ნავთის მილის გამყვანი ინჟენერი პავლიჩინსკი იტალიასა, საფრანგეთსა და გერმანიაში თურმე გაუგზავნიათ, რომ იქ ადგილობრივ გაიცნოს, როგორ მუშაობენ რიდლერის სწრაფ-მომქმედი სასრუტი მანქანები (насосы), რომლებიც ამიერ-კავკასიის ნავთის მილისათვის უნდათ შეიძინონ.

*** საერო განათლების სამინისტროს გარდაუწყვეტია საშუალო სასწავლებლების ჰიგიენურად მოსაწყობად რაიმე ღონის ძიებანი მიიღოს.

*** როგორც ხმა დადის, განზრახვა თურმე აქვთ 1902 წლიდგან რუსეთის ყველა საკომერციო სასწავლებელში ტარიფების შესწავლა სავალდებულო საგნად იქმნას შემოღებული.

*** რუსეთის რკინის გზათა სამმართველომ განკარგულება გაუგზავნა ყველა რკინის გზებს, რომ პატარა მოსამსახურეებს, რომლებიცკი ქვემოდ არიან დასახელებულნი, ფულით ჯილდოს მიღების დროს საინვალიდო თანხისათვის 10⁰/₀ არ უნდა ერიცხებოდეთ, — სახელდობრ: შვეიცრებს, მეკარეებს, კურიერებსა და გასაგზავნ კაცებს, ხელზედ მოახლე ქალებს, ავადმყოფის მომვლელებსა და საავადმყოფოს დანარჩენ მსახურთ; მოსამსახურე კაცებს: კანტორებსა, საავადმყოფოებსა, სადგურებსა, დეპოებსა და სამორიგო ოთახებში, საქონლის კანტორებთანა, გზებზედ, მატარებლების მხლებლებს, ხიდის ყარაულებს, გვირაბებში მოყარაულეთ, ბარგისა და ვაგონების მეთვალყურეებსა და სხ.; აგრეთვე მატარებლების მხლებელს დედაკაცებს, მეეზოვეებს, ღამის ყარაულებს, ღუმელების გამხურებლებს, წყლის ჩამსხმელებსა და შეშის დამწყობლებს, ლამპრების ამნთებლებს, მეფარნეებსა და გზის ამნთებლებს, ბარგის მზიდველებს, სასწვრის მეთვალყურეებს, პლომბებისა და №№ დამსხმელებს, ორთქლმავლებისა და ვაგონების მწმენდელს კაცებსა და ქალებს; მუდმივს მუშებს: რემონტისას, სადგურისას, ლაბარატორიებისას, ცეცხლის მქრობელ ნაწილისას, საქონლის საწყობებისას, შეშისა და ნავთისას, შპალების გამჟღენთელ ქარხნებისა და სხ. სახელოსნოებისას და სხ.

*** როგორც რუსეთის გაზეთები სწერენ, განზრახვა თურმე აქვთ უცხოეთში სწავლა მიღებულს სამთო ინჟენერებს ნება დაჰრთონ სამთო ინსტიტუტში გამოცდისა, რომ შემდეგ რუსეთის მადნებსა და ქარხნებში მუშაობა შეეძლოთ.

*** განზრახვა აქვთ პატიმართა დასასჯელად ახალი წესები იქმნეს შემოღებული, მაგალითად, საჭმლის შემცირებისა, კარცერში ჩასხმისა და გალახვის შესახებ.

*** რკინის გზის სხვა-და-სხვა საიჯარო საქმეებისათვის მთავრობას ახალი დებულების პროექტი შეუმუშავებია.

*** განზრახვა აქვთ ციმბირში გასაგზავნ დეპეშებს (სიტყვაზედ 10 კაპ.) ფასი დაუკლონ.

*** მალე საგანგებო კომისია თურმე იქმნება შემდგარი, რომელსაც დედათა სასწავლებლების მოსწავლეთათვის უფრო მოხერხებული ტანისამოსის შემუშავება დაევალება.

*** სამხედრო ბეგრის მოსახდელად ტფილისის ქალაქის საკრებულოს ჯერ-ჯერობით სულ 157 ახალგაზრდა გაუყვანია ჯარში, რომელნიც სამკურნალო შემოწმებით სამხედრო სამსახურისათვის გამოსადეგნი აღმოჩენილან, ჯარის კაცთა საჭირო რიცხვის შესავსებად კიდევ უნდა გაყვანილ იქმნეს 31 კაცი. ჯარში ახლად გაყვანილთ შაბათს, 3 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, დააფიცებენ.

*** კასპიის ზღვის გამოსაკვლევად მთავრობა საგანგებო ექსპედიციას აგზავნის.

*** ტარიფთა კრებულის № 1302-ში გამოცხადებულია, რომ სახელმწიფო რკინის გზებზე ზამთრობით მგზავრთა სწრაფს მატარებლებში შემოღებული იქნება დამატებითი გადასახადი და ისეთი ვაგონები, რომლებშიაც დანომრული და დასაძინებელი ადგილები იქნება.

*** 27 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც შორაპნის მაზრის სოფელ კაცხის მამასახლისად ნამყოფს იოსებ ცერცვაძეს ზოგიერთი უფლება-უპირატესობანი ჩამოერთვა და პატიმართა გამასწორებელ [illegible] ერთის წლის ვადით [illegible] საჯა. ცერცვაძეს ისა ჰბრალდებოდა, ვითომ მას ქრთამად 20 მანეთი აეღოს მეზობლის ზ. ბოყვერაძისაგან და ეს ქრთამი თამასუქით გარდაეხდევინებინოს.

*** გუშინ, 31 ოქტომბერს, საღამოზედ ტფილისის ქალაქის გამგეობას სხდომა ჰქონდა სხვა-და-სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

*** 31 ოქტომბერს, ნაშუაღამევს 3 საათზედ, ჯერედ გამოურკვეველის მიზეზისა გამო გოლოვინის პროსპექტზედ ცეცხლი გაუჩნდა არგუთინსკი-დოლგორუკის სახლს. ცეცხლი უკვე გაძლიერებული ყოფილა, როცა ცეცხლის მქრობელის რაზმს ცეცხლის გაჩენა შეუტყვია და კიდეც დამწვარა ივ. ვაზინის ჰურჭლეულობისა და მის გვერდით მოთავსებულ ფერადების მაღაზიები. კარგა ხნის მეცადინეობის შემდეგ ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ცეცხლი ჩააქრო. ზარალი კარგა დიდია. ცეცხლის გაჩენის მიზეზის გამოსარკვევად გამოძიებაა დანიშნული.

*** 29 ოქტომბერს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში შემდგარმა მიწათ-მოქმედთა კრებამ განიხილა ს. მ. ზავროვის ვრცელი და საყურადღებო მოხსენება კავკასიაში საგლეხო ბანკის დაარსების შესახებ, მოიწონა იგი და დაადგინა უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა იქნეს აღძრული, კავკასიაში საგლეხო ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ.

*** ელექტრონის ტრამვაის სატეხნიკო პროექტს ბელგიის უსახელო საზოგადოება ახლო მომავალში წარუდგენს განსახილველად ტფილისის ქალაქის გამგეობასა.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, ალ-ტაგლისა და ნავთლუღს შუა, მე-307 ვერსტზე, ოქტომბრის 30-ს საღამოს

---

მე, ძია ვანო, ასლანი და პეტრეშენი და ირინე“.

ვეცი ზარას, ვრეკე და ვრეკე, სანამ გამდელი არ შემოვიდა...

— აგრაფენა, ვინც უნდა მოვიდეს, ვინც, გესმის, ასე უთხარი: ბატონი შინ არ არის და დღეს არც მოვა-თქო! ახლა-კი წადი.

დავხედე საათს, 8 საათი იყო.

—ეე, ვთქვი ჩემს გუნებაში, ეს კი ნამეტანია! წამოვდექი თუ არა, გაიღო კარი და ჩემი ტანია აკი შემოვიდა! მიტრიალდა უცებ და ღია დატოვებული კარი მაგრა მოიხურა... ავდექი, მივუახლოვდი და მოვინდომე შემემოწმებინა, თუ როგორის ოსტატობით დაებანა ტანი, მაგრამ ქურციკის სისწრაფით გამიხტა განზე და მომხიბლველის კოპწიაობით შემიამიტია:

— თქვენს ადგილზე იყავით და ნუ ღელდებით, ბატონო აფიცერო, თქვენს არწივისებურს თვალებს ვერც ერთი მოწინაამდეგე მაინც ვერსად დაემალება!

გამაშტერა ამ მარჯვეთ და სამხედრო კილოთი თქმულმა სიტყვებმა. უნებლიეთ შევჩერდი. ერთი წუთი დრო გავიდა მეტი არა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ დამარცხებული ვიყავი... სიყვარულის საქმეში, როგორც ბრძოლის ველზე, წუთი ყველაფერს ნიშნავს...

გავიმაგრე ისევ გული, არ შევიმჩნიე პირველი იერიში რო გამიცუდდა და დავუწყე მოქარგული სიტყვებით საუბარი:

— ჩემო ტანია, შენ სამხედრო კაცის შვილი ხარ?

— დიაღ ბატონო, მამა ჩემი ფელდფებელი იყო...

— ჰო... კიდეც იმიტომ ხარ მასე იერიანი ... კოჩაღი... მა...მა... ცი და თან-და-თან ვიწევოდი, მაგრამ რამდენი მე მივიწიე, იმდენიც იმან გაიწია... მივიდა ფანჯარასთან, წამის უმალეზე გაალო და ჩამოჯდა დაბგაზე...

რას იზამ ახლა? მიხვალ? ქუჩიდან ქვეყანა დაგინახავს... ხერხი სჯობია ღონესაო, თქმულა, და იმ შეჩვენებულმაც სწორედ ასეთი ხერხი იხმარა!

— ერთი მითხარი, შე ცუგრუმელა: შეიძლება მხურვალე გრძნობით დავეწაფო შვენიერს შინაარსს ღვთაების იმ ტურფა თხზულებისა, რომლისათვის ადამიანს ტანია დაურქმევია?.. არ იფიქრო, რომ მე თუ ნაწარმოები ისე მომეწონება, როგორც ეხლა, ერთი-ორი გადაფურცვლის შემდეგ მივატოვო... არ ..

აქ ისეთი ცეცხლის მფრქვეველი თვალებით შემომხედა, ისეთი საამო ვარდის ფერი გადაეკრა ლაწვებზე, რომ ეტყობოდა ჩინებულათ გაეხსნა ჩემი სიტყვების ყველა ქარაგმები.

— ბატონო, თქვენი ხომ არ არის ის თხზულება, რომელიც აგრე მოგწონებიათ? გადაფურცვლამდის ჯერ უნდა შეიძინოთ მგონი, არა? სხვისი საკუთრებაა...

— ეს არაფერია, ტანია... ვინც ვარგა, სხვისიც მისია და მისიც მისია!..

საშინლათ მოეწონა ეს ანდაზა... გულიანათ გადიკისკისა და რატომ ათჯერ მაინც არ განიმეორა:

— რა კარგათ უთქვამთ, რა კარგად უთქვამთ!

მერე მომაჩერდა... მომაჩერდა... ოდნავ დამიქნია თავი და ხმა აკანკალებული ჩურჩულით გადმომილაპარაკა:

— შეიძლება... რატომ არა...

აქ თვალები იატაკს დააპყრო და თითის ფრჩხილებს ნაზათ დაუწყო კვნეტა...

— ბატონო, იცით რა უნდა გთხოვოთ?...

— თქვი ნურაფრის მოგერიდება...

— ერთი თუთხმეტი მანეთი მიბოძეთ ჯამაგირის ანგარიშში... ძლიერ მეჭირვება... ღმერთმანი ერთგულად გემსახურებით... ჩემი ბატონი... დავიმსახურებ უთუოთ...

ამას ისევ თავ ჩაღუნვითა და ბრჩხილების კვნეტით ამბობდა... ფუნთრუშა ლოყებზე ისევ ალმური ასდიოდა... ფანჯრიდან სიო შემოვიდა და ტანიას თმა-ლოყებიდან ანასხლეტი ოდეკოლონის სურნელება საამოთ მომბერა...

— კარგი, კარგი, მივუგე მე და გავიკარ ჯიბეზე ხელი, ამოვიღე ქისა, გავხსენი და ვნახე, რომ ობოლი ოცდა ხუთიანის მეტი არაფერი ჰქაოდა შიგ.., თვის ოცდასამიც იყო ჩემდა ცოდვად... მაგრამ ეს ძერმე მომივიდა ფიქრათ... იმ წამს სულ სხვა გუნებაზე ვიყავი.

— ჰა, შე ეშმაკო, დაახურდავე და ხვალ ნაშთი მომეცი...

— არა, ბატონო, ამას ამ წამში დავშლი, ქვეშ რომ საკანდიტეროა, იქ ჩავალ და...

ვუთხარი—ახლა რა საჭიროა მეთქი, მარა ისე დამძვრა თვალსა და ხელს შუა, რომ პირ დაბჩენილი დავრჩი...

არ გასულა არც სამი წამი, გაიღო შემოსავალი კარები, საიდანაც ტანია გავიდა და მოისმა რამდენიმე ადამიანის ფეხის ხმა. მივარდი კაბინეტის კარს... იმისთანა შენს მტერს: იმ შერცხვენილს კარები ღია დაეტოვებინა და ირინე მისი სტუმრებიანათ თავს ბოქაულებათ წამომადგენ... ვეეი... ვიფიქრე... დამიგვიანეს ახალი თხზულების წაკითხვა...

რაღა დროს დამალვა იყო. მიღებას ვინღა გკითხავდა, უჩემოთაც დაიპყრეს სახლი... თავ-თავის დროზე ბანქოც მონახეს და ბუფეტის გასაღებიც... მთელი ის საღამო ისე ვიყავი, თითქო ნემსებზე ვიჯექი. ისეთს არეულ პასუხს ვიძლეოდი სტუმრების კითხვებზე, რომ ერთმანეთს თვალებით ეკითხებოდენ: რა დაემართა ამ კაცს, რა სჭირს დღეს უცნაურიო?!

გავიხედე და ერთი საათის შემდეგ აკი შემოგოგდა ჩემი ტანია... წარმოიდგინეთ, მართლა ისეთი ლამაზი იყო, რომ ყველა იქ მყოფნი, ნამეტურ კაცები, ერთმანეთს მოწონებისა და გაკვირვების ნიშანს აძლევდენ.

—ბატონო, მობრძანდით ერთი... ეს სთქვა თუ არა, გაიწია კარებისაკენ და ზედ დირეზე გაჩერდა.

8 ს. და 25 წ. ავაზაკები (?) თავს დასხმიან რკინის გზის მატარებელს № 229, წაუღიათ დახურული ვაგონიდგან მაუდის ორი ტვირთი, ცხრა-ცხრა ფუთი თითო.

*** პოლიციის მე-10 ნაწილში, ნაძალადევში, რაღაც მიზეზის გამო ჩხუბი მოჰვლიათ რთველიაშვილსა და ნაკოლოზ მომცემლიძეს ვასილ და ილარიონ ლუაშვილებთან. მომცემლიძეს შემდეგ ვიღაც უცნობნიც წაჰშველებიან და ხანჯლებით დაუჭრიათ ლუაშვილები: ვასილა—მუცელსა და ბეჭში, ხოლო ილარიონი—გულში. ვასილი ისე მძიმედაა დაჭრილი, რომ ექიმების შემოწმებით მისი მორჩენა საეჭვო თურმეა. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

## დამაკვირდი

მართლად სახელოვანთა კაცთა ყოველთვისა ჰყავთ გულმხურვალე მეგობარნი და დაუძინებელნი მტერნი.

***

გულკეთილობა იზიდავს ჩვენკენ გულსა ადამიანისას; პატიოსნება—მოგვიპოვებს საერთო პატივისცემას; ცოდნა—შეცდომისაგან გვიხსნის, ზომიერება—ბედოვლათობისაგან და სიმტკიცე ხასიათისა ჭეშმარიტი თავდებია იმისი, რომ არავითარი უბედურება, არავითარი მახვილი ბედისა ჩვენ არ დაგვაძაბუნებს და ძირს არ დაგვცემს.

***

ქცუა ჰქმნის ფილოსოფოსს, პატიოსნება გმირსა და მხოლოდ კეთილმოქმედება ბრძენსა.

გოვენარგი

## ტფილისის სახალხო ქართული თეატრი.

წერილი მეორე *)

წინა წერილში ჩვენ შევეხეთ სახალხო თეატრის გამგეთა მოღვაწეობას. თავშივე აღვნიშნეთ, რომ იქვს გარეშეა ხელსაყრელობა და სარგებლობა თეატრისა მდაბიო ხალხისათვის ერთის მხრივ და მეორეს მხრივ პატივმოსილობა იმ პირთა, ვინც ეს საქმე პირველად ითავეს, ან დღეს ჰმეთაურობენ. თუ მთელი ტომარა გუნდრუკი არ ვუკმიე ქართულს სექციას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ სექციის შესახებ უკვე აღნიშნულ ქება-დიდებას აღარ გაგიმეორებთ-მეთქი, და მეორეც იმიტომ, რომ ის გულუხვი სიტყვათა შადრევანობა, რომლის მოსმენასაც ჩვეულია სექცია ერთგვარ მოტრფიალეთა გუნდის მხრივ, გაზვიადებულად მიმაჩნია და ამასთანავე მავნებელად გაზვიადებულ თავმოყვარეობისათვის გამგეების ერთი ნაწილისა, რომელსაც ზნედა სჭირს, ხელიდგან არ გაუშვას შემთხვევა, რათა თვითონვე ამცნოს ოთხკიდურ ქვეყანისა საქმენი თვისნი საგმირონი.

ამიტომ წერილის მაოდავე ხელსაყრელ შესავლის შემდეგ, პირდაპირ შევუდექი საქმეს და აღვნიშნე რამდენიმე ნაკლულევანება სახალხო თეატრისა. პირველ წერილში ამ არა-სასიამოვნო მოვლენას და თავიდგან მის ასაცილებელ საშუალებას შევეხეთ მხოლოდ გაკვრით. შემდეგ წერილებში დავასაბუთებთ ჩვენ შენიშვნებს და მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას სექციის საყურადღებოდ აგრეთვე იმას, თუ როგორ უნდა მოეწყოს გამგეობა სახალხო თეატრისა.

როგორც მოგეხსენებათ, სახალხო თეატრი არსებობს არა ნაკლებ ხუთი-ექვსი წლისა. დამეთანხმებით, რო ეს დრო თავსაყრელად საკმაოა, რათა სექციას გონივრულად გაეთვალისწინებინა არამც თუ დედა-ძარღვი წარმოდგენების მოწყობისა, არამედ შეეძლო, თავიდგან აეცდინა თვით უმნიშვნელო, გარეგანი ნაკლიც კი. ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც ჩვენი ინტელიგენტები მოღვაწეობენ სახალხო თეატრის ასპარეზზე. ამოდენი ხნის ნაჭირნახულევი ასპარეზი ისეთ „გრძელს, გამომცდელ შარას“ წარმოადგენს, რომ თუ მათი მიზანი მიჩრდილული არ არის საქმის შეუფერებელ რაიმე გულის ნადებით, აქამდე უკვე სრულის სავსებით უნდა იყოს მათგან შესწავლილი მთელი მექანიზმი თეატრის გაძღოლისა; ის ნიჭიერი სცენის მოყვარენი, რომელნიც მუდმივ მონაწილეობას იღებენ და თავისი ნიჭით მართლა რომ ამშვენებენ თეატრს, აქამდე უნდა გაწაფულიყვნენ სასცენო ხელოვნებაში და გაეკვლიათ გზა ნამდვილ არტისტობისა; ამოდენა ხნის განმავლობაში ჩვენ ინტელიგენტთა ფხიანობას არა ერთსა და ორ ალაგას უნდა დაეწყო თვისი მოქმედება; დღეს უნდა გვყოლოდა უკვე არაერთი და ორი მოთავე, რომელსაც შეეძლოს, თავიდგან აიცდინოს „ჩვენებური ძველებური“ შაბლონი საზოგადო მოღვაწეობისა. მერე რა არის მიზეზი ჩვენის ჩამორჩენისა, ჩვენის უნაყოფობისა? ისა, რომ თვით საქმეს არ ვალაპარაკებთ, საქმეს პირში ბურთსა ვჩრით და ჩვენ-კი ერთი აღლი ენა გამოგვიბამს და თუ საქმეზე ჩამოვაგდებთ ლაპარაკს, ისიც იმიტომ, რათა ვამცნოთ ჩვენ მოსაუბრეს, რო მე ვარ დედა, ჩემი საკუთარი ძუძუთი მასაზრდოებელი საქმისა და გარეშე ჩემსა არა არსებობს სიკეთე საქართველოსიო!

დიაღ, ეს ესე გახლავთ და საქმეკი სულ სხვას გვეუბნება. ტყუილად არ აღვნიშნეთ პირველ წერილში, რომ ჩვენ ხელმოკლე მოძმეთ უკვე კარგა ხანია, რაც აიღეს აღლო გონიერ გართობისადმი, რომელიც დღითი-დღე განუმტკიცებს მათ ამგვარ მოთხოვნილებას. არ იფიქროთ, რომ ხელვმძღვანელობდე მარტოოდენ ჩემის დაკვირვებით. დავეკითხოთ თვით სექციას და ისეთ მასალას მოგაწვდით იგი, რომ თქვენი მოწონებული. სექციას თავი მოაქვს, რო ერთის მხრით მისი მადლობელნი უნდა ვიყნეთ, რო დღეს ხალხი ძალიან გამოფხიზლებულია. ავჭალის აუდიტორია ისე პატარაა წარმოდგენების მოსასმენლად მოზღვავებულ ხალხისათვისაო, რო შეიძლება ათჯერაც გავავსოთ დარბაზი სულ სხვა-და-სხვა მაყურებლებითო.

შემდეგ წერილამდე ნუ დავივიწყებთ ამ უტყუარს, თვით სექციის წევრთაგან შემოწმებულს ფაქტს და შემდეგ განვიხილოთ, თუ როგორ შეუძლიან სექციას, ეხლანდელი თვისი ძალ-ღონით გონივრულად და უფრო სასურველად გაუძღვეს სახალხო თეატრსა.

დამსწრე.

## თეატრის მატიანე

ქუთაისის თეატრი.

კვირას, 29 ოქტომბერს, აქაურს თეატრში წლეულს პირველად წარმოდგენილი იქმნა „ყაჩაღები“ შილლერისა. პიესა რაც შეიძლება შემოკლებული იყო. ფრანცს თამაშობდა ბ-ნი მესხიშვილი, რომელმაც თავისი როლი ჩინებულად ჩაატარა; მაქსიმილიან ფონ-მოორის როლში ბ-ნი შალვა დადიანი სრულებით ვერ გვისახავდა ფონ-მოორს. საზოგადოდ ბ-ნ დადიანს მოხუცის როლი არ შეშვენის და უფრო კარგი იქნება, ასეთს როლებს თავს დაანებებდეს; კარლოსი — ბ-ნ თუთბერიძე თავით-ბოლომდე უსიცოცხლო იყო, ეტყობოდა, რომ არ ჩაჰკვირვებია კარლოსის როლს. მაგალითად, როდესაც კარლოსი გამოდის და ამბობს: „ოხ! ადამიანო, ცრუ და ვერაგო,“ ეს სიტყვები ავტომატიურად წარმოსთქვა; ფეხები რომ არ დაებრაგუნებინა, ეს სიტყვები შეუმჩნევლად დარჩებოდა. როლი კი კარგად იცოდა. პასტორის როლი ბ-ნმა ტყეშელაშვილმა გვარიანად ჩაატარა. ამალიას როლს ასრულებდა ქ-ნი გვეტაძე, რომელიც ყოველ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს, იან-და-თან მეტს სასცენო სითამამეს იჩენს, ეტყობა რომ საქმეს სერიოზულად ეტანება. იმედი არის ქ-ნი გვეტაძე თავის შრომით მალე დაისამსახურებს საზოგადოების სიყვარულს. ამალიას როლი კარგად ჩაატარა; სხვები ყველამ კარგად უწყობდნენ წარმოდგენას.

წარმოდგენას ხალხი მრავალი დაესწრო, თუმცა დიდი წვიმა იყო.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** „რეიტერის სააგენტოს“ აუწყებენ შანხაიდამ, ვითომც რეაქციონერების დასს დაერწმუნებინოს იმპერატრიცა, რომ რუსეთთან მანჯურიის შესახებ ხელ-შეკრულებაზე უარი სთქვას. როგორცა სჩანს, ჩინეთში ეშინიანთ, რომ სხვა სახელმწიფოებმაც რუსეთისავით არ მოითხოვონ პრივილეგიები.

— „Times“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: პეტერბურგის პოლიტიკურს წრეებში ჰფიქრობენ, რომ ჩინეთთან შეთანხმება მანჯურიის შესახებ არც ერთს სახელმწიფოს არავითარს ვნებას არ მიაყენებს; აქ სჯერათ, რომ რუსეთი მართლა აპირებს მანჯურიას თავი დაანებოსო, გერმანია, ამბობს, შემდეგ კორესპონდენტი, აგულიანებს რუსეთს, მანჯურიიდამ ფეხს ნუ მოიცვლიო; და ამისი ერთად ერთი მიზანი ის არის, რომ უკმაყოფილება ჩამოვარდეს ინგლისსა და იაპონიაში რუსეთის წინააღმდეგ, რათა შემდეგ გერმანიამ „პატიოსანი შუამავლის“ როლი აასრულოსო. მაგრამ რუსეთს ძალიან კარგადა აქვს შეგნებული ბისმარკისებური პოლიტიკა და რუსეთმა სწორედ იმიტომ უფრო უნდა გაანთავისუფლოს მანჯურია, რომ გერმანია წინააღმდეგს ურჩევს რუსეთს.

**გერმანია.** რამდენად წინააღმდეგია გერმანიის საზოგადოება საბაჟო გადასახადების კანონ-პროექტისა, იქიდამ შეიძლება დავინახოთ, რომ ჰამბურგელებისაგან შედგენილს თხოვნაზე 206,662 კაცს მოუწერია

*) იხ. „ივერია“ № 232.

---

მივედი. მოვინდომე წინა ოთახში დამეწია და მეც გავყოლოდი, რომ თხზულების სათაური მაინც გადამეკითხა, მაგრამ ისე მაგრა იდგა, რომ ეტყობოდა, უომრათ არ დასცლიდა ადგილს და საომარი დროკი აღარ იყო:

— ბატონო, შენი ჭირიმე, ის ოცდა-ხუთ-მანეთიანი ბარემ დარჩეს ჩემზე... დედა მომადგა კარზე... თქვენზე მითხრა—თუ არ მოგცემსო, წამოდი სხვასთან დაგაყენებ. ის წლისას იძლევა წინ-და-წინაო. ხვალ დილით პრისტავი თურმე ყველაფერს უყიდის დედა ჩემს.

ამას ისეთი ნელი, საიდუმლო კილოთი და მომხიბლავი ხმით ამბობდა, რომ თავს ტარაბუა დამასხა... თან შემაშინა კიდეც წასვლის მუქარით...

— კარგი, მიირთვი... ოღონდ იცოდე, მალე მოდი-მეთქი.

— ახლავე, ბატონო, დედა ჩემი აქ არის საკანდიტეროსთან... მივცემ და ამ წამს ამოვალ... წავიდა, მაგრამ წინა კარებთან მისვლამდის, მოტრიალდა და ისევ მიმიხმო. კიდევ დირეზე გაჩერდა ის შეჩვენებული.

ძლივს გავიგონე, ისეთი ნელისა და აკანკალებულის ხმით წამჩურჩულა:

— ბატონო... იცით რა... აუზის ოთახში შემობრძანდით სწორეთ ათი წამის შემდეგ და იქ დაგხვდებათ საამოთ გადაშლილი ის თხზულება, რომელიც ასე მოგეწონათ მარტო სათაურით... ამის გაგონებამ გამზრინა, ჟრუანტელმა დამიარა ტანში და გავქვავდი იმავე ადგილზე, სადაც ის ტკბილი სიტყვები ჩამეწვეთა ყურში.

— კაცო, შემოგვხედე ერთი... რა ეშმაკმა გაგაშეშა მანდ... აწ ის... გოგოა, თუ ქალბატონი, აღარ მოვა მეტს, თუ როგორ არის შენი საქმე? მომაყვირეს ჩემმა დაუპატიჟებელმა სტუმრებმა. ყია მყრალმა ირინემ არც ეს იკმარა და დაუმატა:

— ვინ იცის... ხშირად გამოცდილს მეჩიტბადესაც გაუფრინდება დაჭერილი ჩიტი ბადიდან, მთელი თავ-ტანით გაბმული რომ ჰგონა ისეთი...

ძლივს გადავრჩი ათი წამის ლოდინს. დავხედე საათს და ისარმა გადიწია თუ არა მეთერთმეტისაკენ, მოვიმიზეზე კბილის ტკივილი, ვუთხარ სტუმრებს, რომ როგორც შინაურებს, უჩემოთაც გაეტარებინათ დრო, შევედი საწოლ ოთახში, ჩავკეტე კარი და იქედან შევიპარე აუზის ოთახში...

ოთახი ცალიერი დამხვდა... ის თხზულება ვერ ვნახე... ვიფიქრე, დაგვიანდათქო, და რომ მოცდა არ მომწყენოდა, ავავსე აუზი და ჩავედი შიგ. გავიდა ოცი წამი... არავინ მოდის. ამოვედი, გავაგე დივანზე ზეწარი, მეორე გადავიფარე და დავწევი. ვიტრიალე ბარე ერთი საათი გვერდიდან გვერდზე, შამფურზე წამოგებულ გოჭივით... ვარ ერთს ყურის ცქვეტაში, მაგრამ... აჰ, არ შეგჭამოს ჭირმა... ჩავედი კიდევ აუზში, დავყავი ნახევარი საათი, ამოვედი, წამოვწევი; მომწყინდა, ისევ აუზს მივმართე; იქ დავიღალე, კვლავ დივანზე გავიშხლართე... გავწვალდი ასე... დავხედე საათს, მეორე იყო ღამის. დავრეკე. შემოვიდა გამდელი. ერთი შეგინება მილიონს მერჩია, მაგრამ შევიკავე თავი..

— სტუმრები წავიდნენ?

— დიაღ, ბატონო, წავიდნენ... ბატონო, ტანია, რა იქნა, არ იცით?

პირაქეთ მკითხა იმ შეჩვენებულმა.

— რა ვიცი, რა იქნა! როდის ვიყავი მე ტანიას მცველათ! შენ უფრო არ უნდა იცოდე!

— არ ვიცი, თქვენ არ მოუკვდე ჩემს თავს! საკანდიტეროში ვიკითხე და მგონი სამასხროთ ამიგდეს: ოცდახუთ მანეთიანი გამოეტანებინა ბატონს და ის დავუხურდავეთო, მერე კი აღარ გვინახავსო...

— ჰო, ეს-კი მართალია, ფული გავატანე დასახურდავე...

— უი, ჩემი სიკვდილი! მაშ აწ თქვენ ველარ ნახავთ იმას... ისე იცის იმ შეჩვენებულმა... სადაც დადვება ყმაწვილ კაცთან, პირველ დღესვე არ დატყუოს ფული და არ გაიპაროს მაშინვე, არ შეიძლება... ღმერთო მომკალი! ოცდა-ხუთი მანეთი... ვითამ მაგდენი ფული რამ მიგაცემინათ, თქვე დალოცვილო...

— შე კაი ადამიანო, მერმე და თუ მაგისთანა იყო, ვერ გამაფთხილე... ან რათ ქირაობდი მაგისთანა ადამიანს?!

— ბატონო, რომ არ დამაცალეთ... რამდენჯერაც შემოვედი, თქვენ და ის რომ ლაპარაკობდით მაშინ, იმდენჯერვე მომიშორეთ თავიდან... გატყობდით, ძალიან გულით გინდოდათ მარტო დარჩენა და მეც, ჩვეულებისამებრ, გშორდებოდით. მაინც, რა ვიცოდი, სქვენ დალოცვილო, თუ მოყვანისათანა...

— კაი, კაი, ნუ გააპრტყელე ენა! დაწევი აწი! წინა კარს ნუ დაკეტავ მაინც, ვინ იცის, ეგებ დედასთან წავიდა და დააგვიანდა, შეიძლება გათენებისას მოვიდეს.

მეორე დღეს, დილის ათი საათი იქნებოდა, რომ გამომეღვიძა. წამოვხტი, გავაღე ფანჯარა და ისევ ჩავწევი ლოგინში. დილის სიომ შემოატანა ოთახში, დამწვდა საბნის ქვეშაც და კიდევ უფრო საიმისო... რა ჰქვია ვაჟო... სამამაცო გუნებაზე ვიგრძენ ჩემი თავი...

ვიკითხე—ტანია თუ მობრუნდა მეთქი, მაგრამ მეტათ ნუ მოგიბრუნდათ მტერი, ის ჩემთან აღარ მობრუნებულიყოს... საუზმეთ ვიჯედი, რომ ფოსტალიონმა შემომიგზავნა ლია წერილი, ქალის ხელი იყო... შიგ ეწერა მხოლოთ ექვსი სიტყვა: „ვინც ვარგა, მისიც მისია, სხვისიც მისია“...

საერთო სიცილი გაისმა დარბაზში...

თ. მაგმაძე.

ხელი. ქალაქში სულ 760,832 მცხოვრები ითვლება, ამ რიცხვს რომ ბავშვების, სამხედრო მოხელეებისა და მდაბიო ხალხთა რიცხვი გამოვაკლოთ, აღმოჩნდება, რომ მთელს ჰამბურგს მიუცია ეს თხოვნა.

**ჰოლლანდია.** საერთაშორისო სოციალისტთა ბიუროს სხდომაზე, რომელიც ბრიუსელში მოხდა, მდივანმა, ვიქტორ სერვიმ, წარმოადგინა ანგარიში თავის მოგზაურობისა ინგლისში. ინგლისის სოციალისტები თანაგრძნობით მოეკიდებიან განძრახულს პროექტს პროტესტისას კონცეტრაციულ ბანაკების სისტემის წინააღმდეგ. ეს სისტემა, როგორც მკითხველებმა იციან, იმაში მდგომარეობს, რომ ტყვედ წაყვანილს ბურებს ინგლისელები ერთად უყრიან თავს, გარშემო ჯარს უყენებენ და ასე სტანჯავენ. ინგლისელებს უთქვამთ, საჭიროა პროტესტი სხვა სახელმწიფოებსაც განუცხადოთ, რომლებიც ინგლისისავით ერების დაპყრობის გზას ადგიანო. რაც შეეხება გემების ბოიკოტს, ინგლისელებს უთქვამთ, ვეჭვობთ, ბოიკოტმა სასურველი ნაყოფი მოიტანოს, რადგანაც ინგლისის კაპიტალიზმი ძალიან ძლიერია ჯერ კიდევაო.

**ოსმალეთი.** კონსტანტინეპოლში სახაზინო გემებზე მომუშავე მაშინისტებმა და სხვა ხელოსნებმა მუშაობას თავი დაანებეს, რადგანაც უკვე რამდენიმე თვეა ხელფასი არ დაჰრიგებიათ, მაგრამ ამან საკეთილო ნაყოფი არ მოიტანა და მუშებმა შეუთვალეს მთავრობას, თუ არ დაგვაკმაყოფილებთ, ილდიზ-კიოსკს დავესხმით თავსაო. ამ მუქარამ-კი კარგად იმოქმედა: ზღვათა მინისტრმა მაშინვე ბრძანება გასცა საჩქაროდ დაერიგებინათ მუშებისათვის, ვისაც რა ერგებოდა.

## ქართულის სცენის მმართველთა საგულისხმოდ.

ერთი რამ უნდა შევნიშნოთ საზოგადოდ ჩვენის სცენის მმართველებს. ყოველგან წესად არის მიღებული, რომ სცენაზედ სადებიუტოდ გამოსვლის ნებას იმას მისცემენ, რომელსაც სკოლა აქვს რაიმე გამოვლილი, პროვინციის სცენაზედ უმოღვაწნია და ცნობილი, ანუ თუ ეს არ არის, ნიჭიერებისა რამ ნიშან-წყალი ეტყობა. ჩვენში ეს წესი დავიწყებულია და ვინც უნდა მოისურვოს სცენაზედ გამოსვლა და რა როლსა და ამპლუაშიაც უნდა მოისურვოს, ხელ-გაშლით ვეგებებით. სურვილი ჩვენი აშკარაა: იმედი გვასულდგმულებს, იქნება ნიჭიერი გამოგვადგესო, მაგრამ ამავე დროს საზოგადოდ გვავიწყდება საზოგადოება, რომელიც ფულს იხდის და რომლისთვისაც არაფრად სასიამოვნოა მოუხეშავ და გამოსაცდელ ბავშვთა სცენაზედ თვალ-საჩინო როლებში ნახვა. ნეტა ამას ვიკმარებდეთ! დებიუტით გამოცდილი და უვარგისად ცნობილი ვაჟბატონი გამოცდის შემდეგ მაინც ქუდს დაიხურავდეს და გაგვეცლებოდეს ამის ნაცვლად, იმ დაწუნებულს, იმ უვარგისად ცნობილს, იმ ნიჭის ყოველ ნიშან-წყალს მოკლებულს მეორე კვირას, ანუ მეორე წარმოდგენაზედ ჩვენის თეატრის გამგეობა ისევ თვალში გვჩრის, თითქოს განგებ უნდა მოგვაძულოსო.

სწორედ ასეთი საქმე დაემართა ბ-ნს ევდოშვილს. გამოვიდა ამ რამდენისამე წლის წინად სცენაზედ ბედის საცდელად, ფონს ვერ გავიდა და განშორდა სცენას. ეხლა, ოთხი-ხუთის წლის შემდეგ, კიდევ გამოვიდა სადებიუტოდ და არ ივარგა. ეს ორი ცდა არ უკმარია და 25 ოქტომბერს, კიდევ ლორენცოს როლში გამოგვეჭიმა და თავისის უგერგილის მიხვრა-მოხვრითა და უნდა თამაშობით უფრო გააუფერულა ისეც უფერულად წარმოდგენილი „ვენეციელი ვაჭარი“. ნუ თუ ეს დაცინვა არ არის საზოგადოებისა! ნუ თუ ასეთი წესრიგი მოსათმენია?!. ბ-ნს ევდოშვილს შეიძლება ჟინი ჰქონდეს სცენაზედ თამაშობისა, ან განდიდების სენით იყოს შეპყრობილი და თავისი თავი გენიოსადაც მიაჩნდეს, მაგრამ საბრალო საზოგადოება აქ რა შუაშია, რომ ასე ვტანჯავთ?

მანოელიძე

## წერილი რედაქციის მიმართ.

გაზეთ „ივერიის“ ამ წლის № 224-ში დაბეჭდილია „პატარა შენიშვნა ზესტაფონელთა საყურადღებოდ“, რომლის ავტორიც ეხება ჩემს მოქმედებასა და უსაბუთოდ ბრალსა მდებს, ვითომ არ ვიყო მომხრე ზესტაფონში საქალაქო სასწავლებლის დაარსებისა. ამის საბუთად შენიშვნის ავტორს მოჰყავს ის ფაქტი, რომ მე ამ ორის წლის წინად მომივიდა მოწერილობა სახალხო სკოლების ინსპექტორისაგან ზესტაფონში საქალაქო სასწავლებლის დაარსების თაობაზედ, მაგრამ მე ეს მოწერილობა ვითომ დამემალოს, არავისთვის მეჩვენებინოს და დღესაც საიდუმლოდა მქონდეს ქაღალდებში შენახული. გასაკვირველია, თუ ასე საიდუმლოდ მქონდა და მაქვს ის მოწერილობა შენახული! ნეტავი შენიშვნის ავტორმა საიდგან გაიგო მისი შინაარსი და „საჭირო განმარტებანი“. განა ხაზინა გვპირდებოდა სასწავლებლის გახსნას თავისის ხარჯით? შეიძლება ასე ესმის შენიშვნის ავტორს მოწერილობის აზრი, თორემ იმისთანა მოწერილობას, რამდენიც უნდა ავტორს, იმდენს მოვუტანთ დირექტორისაგანაც, თუ-კი იმითი რამეს გააკეთებს.

მოწერილობა ვ. ჩხაიძის თხოვნით რომ ყოფილიყოს გამოგზავნილი, მე ეს არ ვიცი, შეიძლება შენიშვნის ავტორმა უფრო იცოდეს, მაგრამ ჩემთვის-კი პირველი გაგონებაა. მხოლოდ მართალია მივიღე სახალხო სკოლების ინსპექტორისაგან მოწერილობა, რომ საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ ლაპარაკი აღმეძრა მთელის შორაპნის მაზრის მონაწილეობითა და არა მარტო ზესტაფონისა, რომლის მარტო შენობაც, გარდა სხვა რთული ხარჯებისა ინსპექტორის გეგმით 20—22 ათასი მანეთი იყო ნაანგარიშევი. როგორც მივიღე მოწერილობა, მაშინვე ჩემს თანაშემწეს ვ. ჩხაიძეს გარდავეცი და ვსთხოვე მისი შინაარსი საზოგადოებაში გაევრცელებინა და, როგორც მარწმუნებდა, ავრცელებდა კიდეც, აგრეთვე გაზეთის საშვალებითაც იყო ლაპარაკი აღძრული (იხილე „ივერია“ № 216 1899 წლისა). ამის თაობაზედ თითქმის მოწერილობის გეგმის თანახმად და ხსენებული მოწერილობაც დღესაც ვ. ჩხაიძესა აქვს, მაინც და მაინც, რომ დამეძალებინა მისი განხორციელება მთელ მაზრისათვის, ამას არც მოწერილობა მავალებდა, არც შემეძლო და არც ნება მქონდა ამისი და მარტო ზესტაფონელებისათვის მისი განხორციელება შეუძლებელი იყო. ზესტაფონის საზოგადოებას დიდის მოთხოვნილებისა გამო ვუფრთხილდებოდი არ დაშინებულიყო მეტადრე იმის გამო, რომ სწორედ ამ ორის წლის განმავალობაში ზესტაფონელნი ორ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი; საბაზრო ალაგის არჩევის თაობაზედ მათში დიდი უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი და იმ დროს ამ გვარს საქმეზედ ლაპარაკი სასურველს ნაყოფს არ გამოიღებდა, პირ-იქით შესაძლებელი იყო, ისე აწეწილიყო საქმე, რომ 7—8 წლითაც ვეღარა გაგვეკეთებინა-რა. ამიტომ უფრო მოხერხებულს დროს ვუცდიდი, დღეს, როდესაც საბაზრო ადგილის საქმეც დაბოლოვდა და საზოგადოებაშიაც შედარებით მეტს ერთობასა ვხედავ, აღვძარი ლაპარაკი საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ ზესტაფონში და თითქმის ყველა ზესტაფონელმა თამხმობა და დახმარების სურვილი განმიცხადეს, საქმესაც სულით და გულით შევუდექით.

რაც შეეხება ჩემდამო რწმუნებულ ყვირილის ნორმალურ სასწავლებლისათვის ადგილის სყიდვას, რასაკვირველია, მე ამასაც ვსცდილობდი და ვთხოვე კიდევაც აქაურებს გამოეღოთ ამ საქმისათვის თავიანთი წვლილი, მაგრამ არ ისურვეს და ამისი მიზეზიც ზოგი ბაზრობისაგან გამოწვეული უთანხმოება იყო და ზოგიც შენიშვნის ავტორისთანა გულ-შემატკივარნი ბრძანდებოდნენ.

ჩემდამო რწმუნებულ სასწავლებელთან არსებობს სამეურნეო განყოფილება განსაკუთრებულის მასწავლებლით, რომელსაც 360 მან. ჯამაგირი ეძლევა წელიწადში და ადგილი-კი მეტის-მეტად მცირე აქვს (432 ოთხკ. საჟ.). სასწავლებელს საშუალება არა აქვს ადგილი შეიძინოს იმ ერთი მხრის გარდა, საიდგანაც ადგილის სყიდვასა ვფიქრობდი და რამდენი დრო გადის, იმდენად ზესტაფონში ადგილის ფასი მეტად მატულობს; ამიტომ სასარგებლო იყო, ადრე შეგვეძინა ადგილი და სამეურნეო განყოფილება გაგვეფართოვებინა, რომლის საჭიროებაც ეხლა ყველასათვის თვალსაჩინოა.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ერთგულად ვეკიდები საქალაქო სასწავლებლის დაარსების საქმეს, ამას ჰხედავს ყველა შეგნებული და სინიდისიერი ზესტაფონელი და თუ შენიშვნის ავტორი მეტი თანამგრძნობია და ნდობის ღირსია, დანგრეულს ღობე-ყურეს ნუ-კი ეფარება, პირ-ბადე აიხადოს და დაგვენახოს—ვინა ბრძანდება. თვალითაც შევხედავთ, ყურითაც ვუსმენთ და თუ ღირსი აღმოჩნდება, ვარწმუნებ, ყველანი დიდის სიამოვნებით მას მივანდობთ ამ საქმის მეთაურობას, თორემ მარტო მისი გრძელი ინიციალებით ხელმოწერილი „მოწოდება“ სუსტი მოწმეა ნდობისა და გულშემატკივრობის დასამტკიცებლად.

ყვირილის ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველი ომ. იოსელიანი

28 მწიფობისთვე 1901 წ.
დ. ზესტაფონი.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

30 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** 29 ოქტომბერს, დაბრუნდა პეტერბურგში ვორონეჟის გუბერნიიდგან პრინცესა ევგენია მაქსიმილიანის ასული ოლდენბურგისა.

მობძანდნენ დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და მეუღლე მისი პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ჰერცოგი ოლდენბურგისა.

**სარატოვი.** სარატოვის გუბერნიის გაჭირვებულ მცხოვრებთათვის მზადდება სესხად მისაცემად ხორბალი სათესლეთ 990,000 ფუთი, შვრია 250,000, ფეტვი 20,000, კანაფი 2,000.

**ხარკოვი.** ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ჩამომავლობითი საპატიო მოქალაქე პ. პ. რიჟოვი.

**განჯა.** 29 ოქტომბერს კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავადი გ. ს. გოლიცინი იყო განჯაში და დაათვალიერა დაწესებულებანი.

**პეკინი,** ჩინეთის გარეშე საქმეთა უწყება იუწყება, რომ იმპერატორის გვარეულობა ერთს თვეზე მოვა პეკინში.

**ვარშავა.** დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ კვირას ინახულა ოფიცერთა კლუბი ლეიბ-გვარდიის მე-3 არტილერიის ბრიგადისა, ორშაბათს დაჰყო სუვოროვის კადეტთა კორპუსში, ისადილა გენერალ-გუბერნატორთან და სალამოთი წავიდა ვარშავიდგან.

კვირას მოხდა პირველი კრება ვარშავის უნივერსიტეტთან დაარსებულის საისტორიო, საფილოლოგიო და სასჯულო საზოგადოების განყოფილებისა. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო; დიდი კამათი იყო.

**ბერლინი.** იმპერატორმა შეიწყნარა ლონდონში მყოფ გერმანიის ელჩის გაცფელდის თხოვნა სამსახურიდგან გადადგომისა, შეტანილი 17 ოქტომბერს.

31 ოქტომბერი.

**ასტრახანი.** რადგანაც ბალახისა წრეულ ცუდი მოსავალი იყო კალმიკთა მხარეში, საქონლის პატრონი კალმიკები საზამთროდ სესხსა თხოულობენ.

**ბაქო.** 29 ოქტომბერს სალამოს ჟამს, ვიშაუსა და კასპიის ამხანაგობის (ტერ-აკოფოვისა) სამრეწველოებს საბუნჩაში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა ხუთი ნავთის ჭა, ორი ამბარი პირველსა და ოთხი მეორეში; ზარალი 50,000 მანეთამდეა.

**ასხაბადი.** 29 ოქტომბერს, სალამოს 7 საათზედ, საგანგებო მატარებლით აქედგან კრასნოვოდსკში გაიარა სამხედრო მინისტრმა; აქედგან სამხედრო გემით მინისტრი ბაქოში წავა, შემდეგ რკინის გზით პეტერბურგს, სადაც 5 ნოემბერს უნდა მოვიდეს. სამხედრო მინისტრს თან ახლავან თურქესტნის მხარის უფროსი გენერალი ივანოვი და იმიერ-კასპიის ოლქის უფროსი გენერალი სუბბოტი.

**პარიჟი.** სავაჭრო ფლოტის შესახებ პალატა ისევ პროექტის განხილვაშია. კასტელიანი თხოულობს შესწორებას მაგის წინადადებისას, რომ საზღვარ-გარეთ გაკეთებულს გემებზედ გაუქმებული პრემიები კვლავ აღდგენილი იქმნეს, რასაც აუცილებელ პირობად უნდა ექმნეს, რომ გემების პატრონებად, სანავოსნო საზოგადოებათა და გამგეობათა წევრებად იყვნენ ფრანგები. მომხსენებელმა და ვაჭრობის მინისტრმა წინადადება შეიტანეს აღნიშნულის შესწორების შესახებ დაუყოვნებლივ განხილვას შესდგომოდნენ. რამდენიმე ორატორი წინადადების წინააღმდეგი იყო, დასასრულ გარდასწყვიტეს საგნის განხილვას შესდგომოდნენ. მილიერანმა კასტელიანს დაუჭირა მხარი, რომლის წინადადებაც 272 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 255-ისა მიღებულ იქმნა.

**ოდესსა.** იწვის ერთი უკეთეს შენობათაგანი—პასსაჟი მენდელევიჩისა. დაიწვა თითქმის მთელი წინა მხარე და რამდენიმე სამანიფაქტურო და საგალანტერო მაღაზია. დედათა სასწავლებელში, რომელიც მესამე სართულში იყო მოთავსებული, კვამლისაგან დაიხრჩო ერთი მოსწავლე ქალი და დაიბნიდა რამდენიმე, რომელთაგანაც ერთი გარდიცვალა. რამდენიმე ცეცხლის მქრობელი დაშავებულია. ზარალი მილიონამდეა. ზოგიერთი საქონელი დაზღვეული არა ყოფილა. ცეცხლი რუდნიანსკის საავთიაქო საწყობში გაჩნდა, სარდაფის სართულში. ცეცხლის ქრობას დაესწრო თვითონ მთავარ-სარდალი მხედრობისა გრაფი მუსინ-პუშკინი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი** საგუბერნიო საერობო გამგეობამ კრებას წინადადება წარუდგინა საზოგადო საერობო ბეჭვდითი ორგანო იქმნეს დაარსებული, რომელიც სხვა-და-სხვა საგნების გარდაწყვეტაში ერობათ დიდად დაეხმარება.

**ბერლინი.** შეერთებულმა საბჭომ დაამტკიცა კომისიის წინადადება. რომელიც საბაჟო ტარიფის კანონპროექტს შეეხებოდა და თვითონ ტარიფიც.

## ყოველ-დღიური საჭირო ცნობები.

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

**მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 სალამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა სალამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის სალამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 სალამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58, 59 სალამოს 10 ს. (10 ს. 58 წ,) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის სალამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, სალამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს 47 წ. (7 ს. 45 წ.)


# განცხადება

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

დაეძებს სადგომების პირველ და მეორე საქალაქო ღამის სათევ თავშესაფარებისათვის. სადგომები რაც შეიძლება ქალაქის შუაგულის მახლობად უნდა იყოს, პირველ თავშესაფარისთვის სადგომი საჭიროა ამა 1901 წლის 1 დეკემბრიდგან, მეორისათვის—1902 წლის 1 მარტიდგან.

თითო სადგომში ასის კაცის მოსათავსებელი ადგილი უნდა იყოს და ამას გარდა ცალკე ოთახი ზედამხედველისათვის, აგრეთვე სამრეცხაო, სამზარეულო და შეშის დასაწყობი.

ვისაც ჰსურს სადგომის გაქირავება, უნდა მიჰმართოს განცხადებით გამგეობის მეოთხე განყოფილებას ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.